



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია



ბრძანება:ბ42. 42243306

თარიღი:25/11/2024

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 აპრილის N5/10 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 ოქტომბრის Nბ42.42242902 ბრძანების და საკონკურსო კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის №3 ოქმის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის N3 სხდომის ოქმის თანახმად, კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს 6 ინდივიდუალური მეწარმე (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M2 კატეგორია), კონკურსში გამარჯვებულებზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაცეს დანართი №1-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.
- დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის კონკურსის წესით გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიას და სამუშაო ჯგუფს რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გაატაროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებები.
- ბრძანება განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე და ასევე, გამოქვეყნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე <http://poti.gov.ge>.
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბეჟა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

